



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

პარიზის ქ. №15, თბილისი, საქართველო, 0102, ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge, ვებ-გვერდი: www.gyla.ge
15 Knlov st. Tbilisi, Georgia, 0102
Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11
e-mail: gyla@gyla.ge; web: www.gyla.ge

№ კ-06/232-08

31-07 200 წ.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს
დელეგაციის თავმჯდომარეს
ბატონ პეტრე ცისკარიშვილს

დელეგატებს:

- ქალბატონ ჩიორა თაქთაქიშვილს
- ქალბატონ მაგდა ანიკაშვილს
- ბატონ აკაკი მინაშვილს
- ბატონ გიორგი თარგამაძეს
- ბატონ დავით დარჩიაშვილს
- ბატონ გოკა გაბაშვილს
- ბატონ მიხეილ მაჭავარიანს
- ბატონ ლაშა ჟვანიას
- ბატონ გიორგი კანდელაკს

გვაქვს პატივი, მოგმართოთ, როგორც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს წარმომადგენლებს. ამ წერილის მიზანია, წარმოგიდგინოთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოსაზრებები ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის პროექტთან დაკავშირებით, რომლის განხილვაც იგეგმება 2008 წლის სექტემბერში ევროპის საბჭოში.

მოგესხნებათ, რომ 1992 წლის შემდეგ 20 ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში, რომლებიც ახლა ევროპის საბჭოს წევრები არიან მიიღეს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონები. საქართველო მათ რიცხვს 1999 წელს შეუერთდა და ამ ხნის მანძილზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპლემენტაციის საქმეში.

2006 წლის ოქტომბერში ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ პირველად აღიარა ადამიანის ცოდნის უფლება, როგორც ფუნდამენტური უფლება. მიუხედავად ამისა, რომ ევროპის საბჭოც გეგმავს მიიღოს ამ უფლების დაცვის ძლიერი მექანიზმი კონვენციის სახით, თუმცა აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ევროპის საბჭოს ყველა წევრი ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკა.

ასოციაციას გამოკვლეული და გაანალიზებული აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღების შემდეგ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ყველა სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება¹, რაც მნიშვნელოვან სურათს იძლევა ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესაფასებლად. საქმეების უმრავლესობა სწორედ ჩვენს მიერ არის ინიცირებული, რადგან ამითი ხელს უწყობთ კანონმდებლობის სწორი ინტერპრეტაციის დამკვიდრებს. ამასთან, წლების მანძილზე ასოციაცია ყოველდღიური მონიტორინგის გზით ხელს უწყობდა საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის გაცემის პროცედურების დაცვას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირების ინსტიტუტის გაძლიერებას². აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ინსტრუმენტმა მოგვცა საშუალება შეგვექმნა სამოქალაქო მონიტორინგის ნიმუშები სხვადასხვა ანტიკორუფციული კვლევის სახით.

სწორედ ზემოხსენებული მიზეზები გვაძლევს გამბედაობას, მოგიწოდოთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს ისტორიული შესაძლებლობა, გაეღწესა მოახდინოს ევროპული კონვენციის შინაარსზე და არ დაუშვას უფრო დაბალი სტანდარტების დაწესება, ვიდრე ეს დღეს არის საქართველოში.

კონვენციის პროექტი ბევრ მნიშვნელოვან დადებით ელემენტთან ერთად მოიცავს მკვეთრად უარყოფით ასპექტებს

დადებითი ელემენტები

- ✓ ყველას გარანტირებული უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტების (საჯარო ინფორმაციის) გაცნობის მოთხოვნის უფლება;
- ✓ არ არის საჭირო საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დასაბუთება;
- ✓ საჯარო მოხელეები უნდა დაეხმარონ განმცხადებლებს, რომლებიც ინფორმაციას ითხოვენ;
- ✓ ყველა განცხადების მიმართ თანაბარი მიდგომა უნდა არსებობდეს;

¹დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებების ბაზა შემდეგ მისამართზე www.gyla.ge/foicourt; ხოლო ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების ბაზა მისამართზე www.gyla.ge/foiadmin.

²ასოციაციამ შექმნა ინფორმაციის თავისუფლების მონაცემთა ბაზა www.gyla.ge/foidatabase, სადაც თავმოყრილია საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართები, ტელეფონის ნომრები, ვებ-გვერდების მისამართები და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირების ვინაობა.

- ✓ ინფორმაციის გამოთხოვა უფასოა. განმცხადებელს შესაძლოა დაეკისროს გადასახადი, მხოლოდ ინფორმაციის ასლის გადაღებისა და ინფორმაციის ადგილზე მიტანისათვის;
- ✓ საჯარო დაწესებულებები არიან მთავრობა და ადმინისტრაციული ორგანოები ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე;
- ✓ ინფორმაციის თავისუფლება ვრცელდება საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების ადმინისტრაციულ ფუნქციებზე;
- ✓ დაწესდა “ოფიციალური დოკუმენტების” ფართო განმარტება, რაც გულისხმობს ნებისმიერი ფორმით არსებულ ინფორმაციას;
- ✓ განმცხადებელს შეუძლია აირჩიოს ინფორმაციის მიღების ფორმა, დედანში გაცნობის თუ ასლის მიღების ჩათვლით;
- ✓ გამონაკლისების შეზღუდული ჩამონათვალი განსაზღვრული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით (ერთის გარდა);
- ✓ გამონაკლისები განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით, აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებაში და უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული ინტერესის დაცვის პროპორციული (ზიანის ტესტი);
- ✓ საზოგადოებრივი ინტერესის ტესტი გამოყენებულ უნდა იქნას ყველა გამონაკლისის მიმართ (სახელმწიფოს უმაღლესი პირების ჩათვლით);
- ✓ დოკუმენტების ნაწილობრივი ხელმისაწვდომობა გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ გამონაკლისები ეხება დოკუმენტის დანარჩენ ნაწილს;
- ✓ კონვენციის მხარეებს ეკისრებათ საჯარო მოხელეებისა და საზოგადოების სწავლებისა და ცნობიერების ამაღლების ვალდებულება;
- ✓ კონვენციის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება იმდაგვარად აწარმოონ დოკუმენტები, რომ ისინი ადვილად ხელმისაწვდომი იყოს;

უარყოფითი ელემენტები

- ✗ საკანონმდებლო ორგანოების მთელს საქმიანობაზე არ ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება (მხოლოდ დამატებითი);
- ✗ სასამართლო ორგანოების მთელს საქმიანობაზე არ ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება (მხოლოდ დამატებითი);
- ✗ საჯარო ფუნქციის განმახორციელებელ კერძო პირების საქმიანობაზე არ ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება (მხოლოდ დამატებითი);
- ✗ გამოქვეყნების პროაქტიური ვალდებულება ძალიან სუსტი და ზოგადია;
- ✗ აბსოლუტური გამონაკლისის არსებობა: სახელმწიფოს უმაღლეს პირებთან კომუნიკაცია;
- ✗ მოთხოვნა არ უნდა იყოს შეზღუდული ვადებით (განცხადებებზე რეაგირება უნდა იყოს „დაუყოვნებლივი“);

- ✘ განხილვის უფლება არ უზრუნველყოფს არც სასამართლოში და არც იმ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების უფლებას, რომელიც იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილებას მიიღებს;
- ✘ განმარტებითი მემორანდუმი იძლევა შესაძლებლობას, რომ „ზიანისა“ და „საზოგადოებრივი ინტერესის“ ტესტები გამოყენებულ იქნას კანონმდებლის დონეზე, ამასთან, დაშვებულია აბსოლუტური გამონაკლისები;
- ✘ განმარტებითი მემორანდუმი ავიწროებს დოკუმენტების დეფინიციას, საჯარო მოხელეებისათვის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის უფლების მიცემით, იმ შემთხვევებში, თუკი დოკუმენტი არ არის „მარტივად აღდგენადი“ ან „ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული“.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის მარტის განხილვებზე საქართველოს დელეგაციამ მხარი არ დაუჭირა კონვენციის პროექტის არსებულ ვერსიას, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველოს დელეგაცია ამჯერადაც უფრო ძლიერი კონვენციის მომხრე წევრ-სახელმწიფოთა რიცხვს შეუერთდება.

დაინტერესების შემთხვევაში გამოვთქვამთ მზადყოფნას თითოეულ თქვენთანგანთან შეხვედრისა და ამ საკითხების დამატებითი განხილვისათვის.

პატივისცემით,

გიორგი ჩხეიძე

თავმჯდომარე

